მე-8 კლასი

**I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ**

1. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კრებითი სახელი?
   ა) სტუდენტის თავისუფლება უსაზღვროა.
   ბ) სტუდენტობა უბედნიერესი ხანაა.
   გ) სტუდენტობა დარბაზში იკრიბებოდა.
2. რომელია კუმშვად-კვეცად სახელთა წყვილი?
   ა) მანანა, გიგი; ბ) ლიმონი, ურო; გ) ქარხანა, პეპელა;
3. როგორი ფუძე აქვთ არსებით სახელებს: მათე, კაფე, კაშნე?
   ა) კვეცადი; ბ) უკვეცელი; გ) კუმშვად-კვეცადი;
4. რომელი ბრუნვის ფორმაა სიტყვა - „მოსვლისთანავე“?
   ა) ნათესაობითი; ბ) მოქმედებითი; გ) ვითარებითი;
5. რომელია სწორად დაწერილი?
   ა) მერვეს შემდეგი; ბ) ორმოცდამეორის შემდეგი ; გ) სამოცდამეათეს შემდეგი;

**II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ**

6. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „იღიმებოდნენ და <u>ყურადღებას</u> არავის აქცევდნენ.“
   ა) ქვემდებარე; ბ) განსაზღვრება; გ) დამატება;
7. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ჭკუას მოუხმეთ და <u>შინ</u> დაბრუნდით!“
   ა) ადგილის ზმნიზედა; ბ) დროის ზმნიზედა; გ) ვითარების ზმნიზედა;
8. რომელ ბრუნვაშია ქვემდებარე წინადადებაში: „ნაგაზმა ნაღვლიანი თვალებით ახედა ბიჭს“ ?
   ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
9. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
   „მიყვარხარ და <u>ამად</u> ვდარდობ, მინდა კარგად მყავდე.“
   ა) ადგილის ბ) ვითარების გ) მიზნის
10. რომელ ბრუნვაშია განსაზღვრება წინადადებაში: „შორი თეთრი მწვერვალი თვალს ჭრიდა მთამსვლელებს“?
    ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში;
11. რამდენი სინტაქსური წყვილია წინადადებაში: „მათი ორთაბრძოლა ძლიერის გამარჯვებით დამთავრდა“ ?
    ა) სამი; ბ) ოთხი; გ) ხუთი;
12. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „ლერწმის ტოტი“?
    ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
13. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „თეთრო თათმანო“?
    ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
14. სინტაქსური ურთიერთობის როგორი სახეა წყვილში - „ზედ დადებული“?
    ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
15. როგორია აგებულების მიხედვით წინადადება: „ძიასა და ბიჭის მეგობრობა დიდხანს გაგრძელდა“ ?
    ა) მარტივი; ბ) შერწყმული; გ) რთული;

**III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ**

16. რა არის იგავ-არაკი?
    ა) იგავ-არაკი არის ალეგორიული ფორმისა და დიდაქტიკური ხასიათის პატარა სიუჟეტიანი ნაწარმოები.
    ბ) იგავ-არაკი არის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც აზრები ხატოვნად არის გამოსახული, დაცულია სიტყვების თანაზომიერება და სხვადასხვა სტრიქონში განმეორებულია ბოლო ბგერები.

გ) იგავ-არაკი არის თხრობითი ხასიათის, დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები, ლექსად დაწერილი.

17. რა არის ბიოგრაფია?

ა) ბიოგრაფია არის ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ძირითად ნაწილში გადმოცემული ამბები.

ბ) ბიოგრაფია არის თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა, ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას.

გ) ბიოგრაფია არის ვისიმე ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, ვისიმე ცხოვრება, ცხოვრების გზა დოკუმენტური სიზუსტით.

18. განმარტეთ ფრაზეოლოგიზმი: „ერთ ტაფაში წვა.“

ა) ერთად გაზრდილები; ბ) ერთად ჭამა; გ) ერთნაირ მდგომარეობაში ყოფნა;

19. განმარტეთ ფრაზეოლოგიზმი: „ფითრმა გადაჰკრა“.

ა) გაიფიქრა; ბ) შეშინდა; გ) გაფრინდა;

20. რომელი სიტყვაა „მაშვრალის“ სინონიმი?

ა) დაღლილი; ბ) დასვენებული; გ) დაბრაწული;